

ანოტაცია

თემის აქტუალობა: კახეთის რეგიონში განვითარებულია მრავალსახეობრივი გეოდინამიკური პროცესები. ამ მხრივ რეგიონი ერთ-ერთი კლასიკური მაგალითია, თანამედროვე სტიქიურ-დამანგრეველი პროცესების გამოვლინების, სადაც ეკოლოგიური დამაბულობა განსაკუთრებით საშიშ კატეგორიამდეა მისული. რეგიონში განვითარებულია თითქმის ყველა სახის გეოდინამიკური პროცესი: ღვარცოფები, მეწყერები, წყალდიდობები, თოვლის ზვავები, კლდეზვავები, ეროზია და სხვ.

სტიქიური პროცესები ვრცელდება კახეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე. რისი განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორიც ადამიანის ინტენსიური, საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობაა, რომელიც ხდება ღვარცოფების, მეწყერების, ეროზიული და გამოფიტვის პროცესების განვითარების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების ფონზე.

სტიქიის პერიოდული გააქტიურება დიდ საშიშროებას უქმნის კახეთის კავკასიონისა და ცივ-გომბორის მთისწინეთში განლაგებულ დასახლებათა უმეტესობას, ანადგურებს სავარგულებს, მწყობრიდან გამოჰყავს საირიგაციო კომუნიკაციები, საავტომობილო და სარკინიგზო გზები.

მიზანი და ამოცანები: ნაშრომის მიზანია საველე-საექსპედიციო მუშაობა, სტიქიური პროცესების გავრცელების თვალსაზრისით აქტიური ტერიტორიების შემოწმება, მონაცემთა მიღება, რის საფუძველზეც უნდა შეიქმნას საშიში გეოდინამიკური პროცესების რუკა, დაითვალოს ნალექების მრავალწლიური რაოდენობა, ასევე განმეორებადობა ნალექების შიდაწლიური გადახრის, საშუალო მრავალწლიური ნორმიდან, დღე-ღამეში ნალექების მოსვლის განმეორებადობა, შედეგების წარმოდგენა დიაგრამების სახით და მათი შედარება გეოდინამიკური პროცესების ტენდენციასთან, რაც, საბოლოო ჯამში, საშუალებას მოგვცემს კატასტროფული ბდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, მოვახდინოთ პროცესების მოსალოდნელი განვითარების გარკვეული პროგნოზირება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს კახეთის რეგიონის გეოდინამიკური პროცესები.

კვლევის შედეგი: საველე და კამერალური კვლევების განზოგადების შედეგად მოხდა ეგზოდინამიკური პროცესების გამოვლინების თვალსაზრისით აქტიური და საშიში ტერიტორიების შეფასება, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. შეიქმნა საშიში გეოდინამიკური პროცესების გავრცელების რუკა. დაითვა ნალექების მრავალწლიური რაოდენობა, მათგან დაითვა განმეორებადობა ნალექების შიდაწლიური გადახრის საშუალო მრავალწლიური ნორმიდან, დღე-ღამეში ნალექების ექსტრემალური რაოდენობის მოსვლის განმეორებადობა, მოხდა შედეგების წარმოდგენა დიაგრამების სახით და მათი შედარება გეოდინამიკური პროცესების განვითარების ტენდენციასთან, გაიცა საშიშროების თავიდან ასაცილებლად შეფასების შესაბამისი რეკომენდაციები.

Annotation

Actuality of the theme: In Kakheti region various geodynamical processes are developed. According to this issue kakheti region is the classical example of the displaying the disastrous-damaging processes and where the ecological tension has reached its maximum. Here we have the almost every type of geo dynamical processes: sells, landslides, floods, avalanches, erosion, hail and etc.

Natural disasters are spread almost all over the whole territory of the region, main factor causing this issue is the active human engineering-industrial activity, which is held simultaneously with the favorable conditions for the development of landslide and erosional processes.

The periodical development of the natural disasters is very dangerous for the Caucasus of Kakheti and also for the settlements near the Tsiv-Gombori range, they also damage agricultural infrastructure, irrigational communications, motorways and railways.

Target and the task: The target of theme is the field-expedition work, also the observation of the territories with the active natural disasters in order to make the maps of the dangerous disastrous processes, to count the long-term amount of rainfall, also the repetition of the inclination from the annual amount of rainfall, repetition of the rainfall during the day, displaying the result in the face of diagrams and their comparison with the tendencies of the geo dynamical processes. On this basis the prognosis for the development of Natural disasters will be done, in order to avoid the disastrous processes.

Research object: the research object are the geo dynamical processes of Kakheti region.

The result of the research: After the generalization of the fieldwork results and the analysis of the literature, the evaluation of the territories with the active and dangerous geo dynamical processes has been done, also references (recommendation) concerning this issue are given. The map of dangerous geo dynamical processes has been made, annual amount of rainfall and according to this results, the inclinations from the long-term amount has been counted, also the repetition of the extreme amount of rainfall during the day has been counted. The results are compared with tendencies of the development of the geo dynamical processes and are displayed with the diagrams.